



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № 23
2018 წლის 13 აპრილი

„გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის
№31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 25/12/2017; 190020020.35.148.016417) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	39,204.0	7,491.6	31,712.4	36,298.0	4,940.1	31,357.9
გადასახადები	6,045.7	7,204.1	0.0	7,204.1	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,294.8	7,491.6	20,803.2	26,359.8	4,940.1	21,419.7
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,705.2	0.0	3,705.2	3,238.2	0.0	3,238.2
ხარჯები	28,039.5	23,785.8	315.2	23,470.6	24,174.3	329.2	23,845.1
შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,713.3	131.2	3,582.1	3,813.8	111.6	3,702.2
საქონელი და მომსახურება	3,190.6	3,140.6	36.9	3,103.7	3,050.2	46.4	3,003.8
პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	281.3	0.0	281.3

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სუბსიდიები	14,203.8	13,367.0	112.5	13,254.5	13,656.5	135.0	13,521.5
გრანტები	1,066.4	344.7	2.5	342.2	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,475.8	32.2	1,443.6	1,708.4	36.2	1,672.2
სხვა ხარჯები	1,754.5	1,574.5	0.0	1,574.5	1,664.1	0.0	1,664.1
საოპერაციო საღდო	10,392.4	15,418.2	7,176.4	8,241.8	12,123.6	4,610.9	7,512.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,580.1	14,314.5	7,592.1	6,722.4	16,212.7	6,093.2	10,119.5
ზრდა	11,637.5	15,084.6	7,592.1	7,492.5	16,742.7	6,093.2	10,649.5
კლება	1,057.4	770.1	0.0	770.1	530.0	0.0	530.0
მთლიანი საღდო	-187.7	1,103.7	-415.7	1,519.5	4,089.1	-1,482.3	2,606.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-362.5	945.2	-415.7	1,360.9	-4,342.0	-1,482.3	-2,859.7
ზრდა	574.3	1,360.9	0.0	1,360.9	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	574.3	1,360.9		1,360.9	0.0		
კლება	936.8	415.7	415.7	0.0	4,342.0	1,482.3	2,859.7
ვალუტა და დეპოზიტები	936.8	415.7	415.7		4,342.0	1,482.3	2,859.7
ვალდებულებების ცვლილება	-174.8	-158.5	0.0	-158.5	-253.0	0.0	-253.0
კლება	174.8	158.5	0.0	158.5	253.0	0.0	253.0
საშინაო	174.8	158.5	0.0	158.5	253.0	0.0	253.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლაოებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	39,489.3	39,974.2	7,491.6	32,482.6	36,828.0	4,940.1	31,887.9
შემოსავლები	38,431.8	39,204.0	7,491.6	31,712.4	36,298.0	4,940.1	31,357.9

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	770.1	0.0	770.1	530.0	0.0	530.0
გადასახდელები	39,851.8	39,029.0	7,907.3	31,121.7	41,170.0	6,422.4	34,747.6
ხარჯები	28,039.5	23,785.8	315.2	23,470.6	24,174.3	329.2	23,845.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	11,637.5	15,084.6	7,592.1	7,492.5	16,742.7	6,093.2	10,649.5
ვალდებულებების კლება	174.8	158.5	0.0	158.5	253.0	0.0	253.0
ნაშთის ცვლილება	-362.5	945.2	-415.7	1,360.9	-4,342.0	-1,482.3	-2,859.7

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 36.298.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	38,431.8	39,204.0	7,491.6	31,712.4	36,298.0	4,940.1	31,357.9
გადასახადები	6,045.7	7,204.1	0.0	7,204.1	6,700.0	0.0	6,700.0
გრანტები	28,790.9	28,294.8	7,491.6	20,803.2	26,359.8	4,940.1	21,419.7
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,705.2	0.0	3,705.2	3,238.2	0.0	3,238.2

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6 700,0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6,045.7	7,204.1	0.0	7,204.1	6,700.0	0.0	6,700.0
საშემოსავლო გადასახადი	2,320.8	2,223.7		2,223.7	2,100.0		2,100.0
ქონების გადასახადი	3,725.0	4,980.3	0.0	4,980.3	4,600.0	0.0	4,600.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,104.0	3,276.2		3,276.2	3,320.0		3,320.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4.8	10.6		10.6	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	49.6	65.2	0.0	65.2	52.0	0.0	52.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	747.3	764.9	0.0	764.9	652.0	0.0	652.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	819.3	863.5	0.0	863.5	576.0	0.0	576.0

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 26,359.8 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	28,790.9	28,294.8	26,359.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	94.4	710.9
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	28,790.9	28,200.4	25,648.9
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	19,823.4	21,018.8	21,011.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	19,516.6	20,708.8	20,708.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	306.8	310.0	303.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	8,967.5	6,881.6	4,637.1
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	6,766.2	6,832.0	4,637.1
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2,201.3	0.0	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	0.0	49.6	0.0

ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 238,2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	3,595.1	3,705.2	3,238.2
შემოსავლები საკუთრებიდან	740.5	739.2	605.0
პროცენტები	272.9	259.3	190.0
რენტა	467.6	480.0	415.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	209.3	253.8	190.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან მართვაში (უზურფრუქტი, გირავნობა და სხვა) გადასაცემად	258.3	226.2	225.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,123.1	1,122.1	1,073.2
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	1,061.7	1,036.1	1,013.0
სასტუმრო მოსაკრებელი	87.6	152.8	130.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.6	3.4	3.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	676.2	574.4	600.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	293.2	305.5	280.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	61.4	86.0	60.2
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	61.4	86.0	60.2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,453.6	1,594.7	1,560.0

ზ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 24,174.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანზფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანზფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	28,039.5	23,785.8	315.2	23,470.6	24,174.3	329.2	23,845.1
შრომის ანაზღაურება	4,416.2	3,713.3	131.2	3,582.1	3,813.8	111.6	3,702.2
საქონელი და მომსახურება	3,190.6	3,140.6	36.9	3,103.7	3,050.2	46.4	3,003.8
პროცენტი	261.8	170.0	0.0	170.0	281.3	0.0	281.3
სუბსიდიები	14,203.8	13,367.0	112.5	13,254.5	13,656.5	135.0	13,521.5

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	1,066.4	344.7	2.5	342.2	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,146.1	1,475.8	32.2	1,443.6	1,708.4	36.2	1,672.2
სხვა ხარჯები	1,754.5	1,574.5	0.0	1,574.5	1,664.1	0.0	1,664.1

თ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 16,212.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 16,742.7 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	250.3	188.7	76.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	10,765.6	12,788.1	15,793.8
03 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	426.2	484.6	696.8
04 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	195.4	1,584.5	176.1
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
სულ ჯამი		11,637.5	15,084.6	16,742.7

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 530,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

(ათას ლარებში)

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1,057.4	770.1	530.0
ძირითადი აქტივები	8.5	109.1	190.0
არაწარმოებული აქტივები	1,049.0	661.1	340.0
მიწა	1,049.0	661.1	340.0

ი) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6,545.9	5,789.5	5,904.7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6,544.9	5,619.5	5,577.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6,544.9	5,619.5	5,477.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	100.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	31.2
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	0.0	31.2
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1.1	170.0	296.3
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,359.1	11,891.8	14,626.4
7045	ტრანსპორტი	4,263.9	7,968.5	8,014.3
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,261.0	7,963.1	8,014.3
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	2.8	5.4	0.0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	0.0	824.6
70473	ტურიზმი	0.0	0.0	824.6
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	4,095.2	3,923.3	5,787.5
705	გარემოს დაცვა	2,932.5	296.3	1,276.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	128.6	0.0	125.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	2,803.9	296.3	1,151.3
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,519.3	5,929.0	4,835.6
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	284.9	267.7	220.0
7063	წყალმომარაგება	3,775.9	3,871.2	2,920.6
7064	გარე განათება	686.6	1,129.6	1,140.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	772.0	660.4	555.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	237.4	250.9	245.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	107.4	135.9	110.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	130.0	115.0	135.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7,258.8	7,184.8	5,560.7
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3,525.8	4,083.3	2,699.8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	3,205.5	2,636.5	2,630.9
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	29.9	26.9	30.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	0.0	120.0	200.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	497.7	318.0	0.0
709	განათლება	5,376.8	5,826.5	6,536.8

ფუნქციური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
7091	სკოლამდელი აღზრდა	5,306.9	5,774.9	6,496.8
7092	ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	60.9	46.2	40.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	9.0	5.4	0.0
710	სოციალური დაცვა	3,447.1	1,701.8	1,931.6
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1,036.0	878.5	1,049.6
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	831.1	658.4	799.2
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	204.9	220.2	250.5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.0	7.0	9.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	61.4	59.9	31.2
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	204.7	183.9	211.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	141.6	130.8	152.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,996.4	441.6	478.2
სულ ჯამი		39,677.0	38,870.4	40,917.0

კ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -4.089.1 ათასი ლარის ოდენობით.

ლ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება“

1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -4,342.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 4,342.0 ათასი ლარის ოდენობით.

მ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება“

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -253.0 ათასი ლარის ოდენობით.

ნ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა, მოწყობა და რეაბილიტაცია. ასევე მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოვლა-ექსპლოატაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება სკვერების, გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების, მინიატურული მეგლების მოწყობა-რეაბილიტაცია და ვერხვების დევენილთა დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა.

გ.ა) საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 01)

წინა საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად იგეგმება მუნიციპალიტეტში გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

გ.ბ) სკვერებისა და გაზონების ექსპლოატაცია, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 03)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში იგეგმება სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია ბავშვთა გასართობი და სპორტული მოედნებით.

გ.გ) მუნიციპალური შენობებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ლიფტების და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა.

აგრეთვე, გათვალისწინებულია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზებისა და ტურისტული ობიექტების უშუალო სიახლოვეს, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული უსახური შენობების ფასადების შესაფუთი სამშენებლო ფარდაბადეს შეძენა.

გ.დ) სპორტული მოედნების მოწყობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 06)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული მინი-მოედნების რეაბილიტაციის თანადაფინანსება.

გ.ე) დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 07)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს წარმოადგენს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესის გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ასევე აუცილებელ შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

გ.ვ) ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნის შესწავლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკითხვებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნეს სექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმაგრება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში. ტურიზმსა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტების, სტრატეგიისა და წინადადებების შემუშავება. ახალი ტურისტული ადგილების შექმნისათვის რეკომენდაციების მომზადება და მრავალფეროვანი ტურისტული პროგრამების შექმნა და შეთავაზება.

გ.ზ) სასაფლაოების შემოღობვა (პროგრამული კოდი 02 03 14)

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია ვერხვების დევნილთა დასახლებაში სასაფლაოს შემოღობვა.

გ.თ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 16)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა; ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, მოსახლეობისგან და ორგანიზაციებისგან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია კანონმდებლობის შესაბამისად; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები; შადრევნების, სკვერების, მოსაცდელების და სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა; ზამთრის სეზონზე ქუჩების მოვლა-შენახვა; გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამების, პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად ტექნიკური სამუშაოების განხორციელება; მუნიციპალიტეტის იერსახეზე ზრუნვა; დამფუძნებლის დავალებით, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საცხოვრებელი სახლების გამაგრება-რეაბილიტაცია; საჭიროების შემთხვევაში გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია; გარემოს და ბუნებათსარგებლობის, მრავალფეროვნების, გადაშენების საფრთხის წინაშე და იშვიათი სახეობების შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით სარგავი მასალის (ნერგის) გამოყვანის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანებული ტერიტორიების სპეციალური გამოკვლევა და აღდგენა, ახალი ნერგების განთავსება და არსებული ნერგების გადაბუღვის, გასხვლის და სხვა გამწვანებით-მოვლითი სამუშაოების განხორციელება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, სარიტუალო მომსახურება, სასაფლაოების დახურვა და ახალი სასაფლაოების გახსნა კანონმდებლობის შესაბამისად; ქუჩების განათება, შენობის დეკორაციების მინათება, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (შეკეთება, გამოცვლა, მონტაჟი) და მასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ორგანიზების განხორციელება და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

გ.ი) ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის (პროგრამული კოდი 02 03 17)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნა, ახალგაზრდებისა და ტურიზმთან დაკავშირებული სერვისის მიმწოდებლების უნარების გაძლიერება.

აგრეთვე პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საქმიანობები: ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; პარკის რეაბილიტაცია; ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის გახსნა; პარკინგისა და სანიტარული ობიექტების მოწყობა; ქალაქის ცენტრსა და ისტორიულ ნაწილში ველო-ინფრასტრუქტურის მოწყობა და ველოსიპედების გაქირავების სერვისის შექმნა; სუვენირებისა და სხვა ადგილობრივი პროდუქტების სარეალიზაციო სივრცის შექმნა; ეროვნული საკვებისა და ხელნაკეთობების დამამზადებელი სახელოსნოების მოწყობა, სადაც მუშაობის პროცესი ნაჩვენები იქნება ვიზიტორებისათვის და გაიყიდება შექმნილი პროდუქცია; პარკში კაფის მოწყობისათვის საჭირო სივრცის შექმნა; ახალგაზრდების დასააქმებლის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მათი უნარების გაძლიერება ტრენინგების, სტაჟირებისა და ბიზნეს-კონსულტირების სერვისის გზით.

გ.კ) მოსაცდელების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 18)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაცდელების მოწყობა.

ნ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 04)“

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე რელიგიურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას, შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე მათ დახმარებას და ხელშეწყობას.

მ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

-არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

-დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

-მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

-სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

-ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამებების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

-მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელოების ღონისძიებები.

ბ) ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები იმ ოჯახების, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, დახმარება თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

გ) ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპეციალური სერვისების მიწოდების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03)

მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ბინადარი

ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის თანამედროვე ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველების თანარსებობის უსაფრთხო და მეგობრული გარემოს შექმნა.

მიუსაფარი ცხოველების იზოლირება და სატრანსპორტო საშუალებების მიერ დაღუპული ცხოველის გვამების სპეციალურ ადგილებზე გატანა და დამარხვა.

დ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დ.ა) მხედველობით მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) და სმენადაქვეითებული (ყრუ-მუნჯობა) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მხედველობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (უსინათლო) პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე მნიშვნელოვნად გამოხატული (უსინათლო) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ფარგლებში.

0-დან 18 წლამდე სმენადაქვეითებულ (ყრუ-მუნჯობა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 (ორასი) ლარის ფარგლებში.

დ.ბ) ასი და მეტი წლის უზუცესთა დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 05 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული 100 (ასი) და მეტი წლის ასაკის უზუცესების ერთჯერადი დახმარება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

დ.გ) დედ-მამით ობოლი ბავშვებისა და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდული შვილების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლი 0-დან 18 წლამდე პაციენტის დახმარება ერთჯერადად სტაციონარული მკურნალობისათვის არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. დედ-მამით ობოლი ბავშვების და მშობლის (მშობლების) უფლებაშეზღუდულ (0-დან 18 წლამდე) შვილებს ფულადი დახმარება გაეწევა ერთჯერადად, ყოველ ბავშვზე 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადად თითო ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიანი ოჯახები.

ერთჯერადად თითო ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით 0-დან 18 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 5 და მეტშვილიანი ოჯახები.

დ.ე) დიალიზზე მყოფი და C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანების ერთჯერადი სოციალური და სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დიალიზზე მყოფი ადამიანების ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ასევე ვირუსული C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანებს, რომელთაც გააჩნიათ სოციალურ სააგენტოდან მინიჭებული 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

ერთჯერადი სადიაგნოსტიკო კვლევის თანადაფინანსება არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დ.ვ) ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, გლუტენის დაავადება, კანის ქრონიკული და ჰიდროცეფალიით დაავადებული ადამიანების სამედიცინო და სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევების მქონე, კანის ქრონიკული და ჰიდროცეფალიით დაავადებული ბავშვების სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, თანადაფინანსებით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით, გლუტენის დაავადება და ფენილკეტონურიით დაავადებული ადამიანების სოციალური დახმარება ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

აუტიზმით დაავადებული ბავშვების (0-დან 18 წლამდე) სამედიცინო, სტაციონარული, ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის კვლევების, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების თანადაფინანსება ერთჯერადად არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

დ.ზ) მიცვალეზულთა სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 05 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიოს ომის მონაწილეთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ავღანეთის ომის მონაწილეთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 300 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში);

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უპატრონო მიცვალეზულთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება დამკრძალავი ბიუროდან წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.

დ.თ) სტუდენტებისა და სპორტსმენების დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 500 ლარის ოდენობით, ერთჯერადად იმ სტუდენტებისა, რომლებიც არ სარგებლობენ სხვა სახელმწიფო პროგრამით და არა აქვთ მოპოვებული სახელმწიფო გრანტი: დედ-მამით ობოლი, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი 18 წლამდე) ოჯახებიდან, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ მინიჭებული 0-დან 65 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა.

ასევე, ოლიმპიური სახეობის საქართველოს ნაკრების მოქმედ სპორტსმენებს, რომელთაც აქვთ მინიჭებული სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70 000-ის ჩათვლით გაეწიეთ დახმარება არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

დ.ი) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 10)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ერთჯერადი დახმარება:

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც ესაჭიროებათ სამედიცინო კვლევა და გააჩნიათ 0-დან 100 000-ის ჩათვლით სოციალური სარეიტინგო ქულა, დაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად, არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნია 0-დან 100 000-ის ჩათვლით მინიჭებული სარეიტინგო ქულა, სამედიცინო სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან განისაზღვროს ერთჯერადად პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომელთაც გააჩნია 0-დან 70 000-ის ჩათვლით სოციალური სააგენტოდან მინიჭებული სარეიტინგო ქულა, „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევები სახელმწიფოს მხრიდან უფინანსდებათ 70%-ით, გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 30%-ით, ან მკურნალობის მონიტორინგის კვლევები დაფინანსდეს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 30%-ით.

გორის მუნიციპალიტეტის მხრიდან, იმ მოქალაქეების თანადაფინანსება, რომელთაც „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამასთან დაკავშირებული სამედიცინო კვლევები სახელმწიფოს მხრიდან უფინანსდებათ 30%-ით, განისაზღვროს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 50%-ით, ან მკურნალობის მონიტორინგის კვლევები დაფინანსდეს ერთჯერადად საწყისი ღირებულების 50%-ით.

დ.კ) ონკოლოგიური (ონკოპათოლოგიური) ავადმყოფების სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 05 05 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო კვლევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სხვა პროგრამით, კვლევის თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად არაუმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

უფასო მედიკამენტებით დახმარება ონკოლოგიურ ავადმყოფებს გაეწევათ ერთჯერადად არა უმეტეს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად არსებული სამედიცინო მომსახურებისათვის პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხით. არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

დ.ლ) სოციალური პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

საბიუჯეტო, არასამთავრობო, არარეგისტრირებული კავშირების, არასამეწარმეო და სხვა ორგანიზაციების თანადაფინანსება, რომლებიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენენ წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე მუნიციპალიტეტის მონაწილეობა ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში ჩატარებულ საქველმოქმედო ღონისძიებებში.

დ.მ) უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 05 14)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით და პარკინსონიზმით დაავადებული; 100 000-დან 150 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლით, შაქრიანი დიაბეტი - ტიპი II (ინსულინდამოკიდებული) ფორმით, ბრონქიალური ასთმით დაავადებული ბენეფიციარების დახმარება ერთჯერადად არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, ამ მუხლში აღნიშნული თითოეული დაავადების მკურნალობის ფარგლებში.

